რატომ უნდა **გავითვალისწინოთ** გარემოსდაცვით სფეროში **გენდერული საკითხები?**

ითვლება, რომ საზოგადოებრივი სივრცე - მამაკაცის, ხოლო სახლი ქალის სივრცეა.

გარემოში მიმდინარე ცვლილებები ხშირად ახდენს გავლენას ახლომდებარე დასახლებულ პუნქტებზე. ეს ცვლილებები ქალს უფრო მოწყვლადს ხდის, იქნება ეს ბუნებრივი კატასტროფების დროს გადარჩენის უნარების ნაკლებობა, ინფრასტრუქტურული პროექტებით გამოწვეული მტვერის გამო სახლის ხშირი ლაგება თუ სასმელი წყლის შორიდან მოტანა.

გარემოსდაცვით სფეროში **ქალების საჭიროებების** გათვალისწინება სიახლეა და მისი **პრაქტიკაში განხორციელება** ამ პროცესში ჩართულ **ყველა მხარეს უჭირს:**

მთავრობა და პოლიტიკის შემქმნელი უწყებები გარემოსდაცვით პოლიტიკაში არ ითვალისწინებენ გენდერულ საკითხებს. პროექტებში ამ საკითხების გათვალისწინება ძირითადად საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ არის ნაკარნახები.

პოლიტიკის იმპლემენტატორი ორგანიზაციები თემის სიახლის, ინფორმაციის ნაკლებობისა და გენდერულად ნეიტრალური დამოკიდებულებების გამო ერთმანეთთან არ თანამშრომლობენ.

საზოგადოება არ მიიჩნევს, რომ გარემოში მიმდინარე ცვლილებებს განსაკუთრებულად ნეგატიური გავლენა აქვს ქალებზე.

გავითვალისწინოთ ქალის საჭიროებები გარემოსდაცვით პოლიტიკაში!

წყარო: „სიტუაციური ანალიზი და რეკომენდაციები გარემოსდაცვით სამართლიანობასა და ქალთა უფლებებზე საქართველოში“ (2019). კვლევა განხორციელდა „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს პროექტის "ქალთა უფლებები და გარემოსდაცვითი სამართლიანობა" ფარგლებში, ორგანიზაცია We Research-ის მიერ, გერმანული ქალთა ფონდის filia.die frauenstiftung ფინანსური მხარდაჭერით.

We Research
ქალთა ფონდი საქართველოში WOMEN'S FUND IN GEORGIA
filia die frauenstiftung.
ForSet